

ამოიცანი დეზინფორმაცია



სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგები

შუალედური ანგარიში

(სექტემბერი, 2020 წ.)

მედია მონიტორინგის ანგარიში მომზადდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ (DRI), პროექტის „ამოიცანი დეზინფორმაცია“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ფონდი Prodemos • პროდემოსის მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა ფონდი Prodemos • პროდემოსის ოფიციალურ მოსაზრებად.

მონაცემთა დამუშავება და მედია მონიტორინგი: ქეთევან მურღულია
გამოცემაზე პასუხისმგებელი: უჩა ნანუაშვილი, თამარ ხიდაშელი

2020

სარჩევი

შესავალი.....	4
1. მეთოდოლოგიური ჩარჩო	5
2. პრორუსული მედიის დეზინფორმაციული კამპანია	7
<i>რუსული ვაქცინა და მისი საეჭვო ეფექტურობა</i>	<i>7</i>
3. დეზინფორმაციული კამპანიის ანტიდასავლური გზავნილები და კონსპირაციული თეორიები.....	10
<i>სად ხდება ვაქცინის დატესტვა?.....</i>	<i>10</i>
<i>ბილ გეიტსი და ყალბი ინფორმაცია „7 მილიარდი ადამიანის იძულებითი აცრის“ შესახებ.....</i>	<i>11</i>
<i>დეზინფორმაცია UNICEF-ის წინააღმდეგ.....</i>	<i>11</i>
<i>იტალიელი გინეკოლოგის რობერტო პეტრელას დეზინფორმაციული ვიდეო მიმართვა</i>	<i>12</i>
<i>კონსპირაციები პირბადეებთან დაკავშირებით.....</i>	<i>13</i>

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ განხორციელებული სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგს, რომელშიც გაანალიზებულია 2020 წლის სექტემბერში Covid-19-ის პანდემიის ფონზე დეზინფორმაციის გამავრცელებელი მედია საშუალებების გზავნილები და შესწავლილია მათი მანიპულაციური დისკურსის ძირითადი ტენდენციები. ანალიზი ეყრდნობა ფეისბუქ გვერდების მონაცემებს (სტატუსებს და ფოტო-ვიდეო ვიზუალიზაციას) და მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მახასიათებლებს.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა დეზინფორმაციის გამავრცელებელი მედია გზავნილების იდენტიფიცირების მიზნით, შეისწავლა 15 ინტერნეტ გვერდზე განთავსებული 102 სტატია და გაანალიზა 10 ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული 435 ონლაინ მასალა (ფოტო, ვიდეო, სტატუსი). ანგარიშში მიმოხილულია დეზინფორმაციული კამპანიის პირველწყაროები და მათი ანტიდასავლური შინაარსის გზავნილების შესწავლის შედეგებია წარმოდგენილი.

ძირითადი დაკვირვების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში Covid-19-ის პანდემიის ფონზე სოციალურ ქსელ ფეისბუქში და სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე აქტიურად მიმდინარეობდა ანტიდასავლური დეზინფორმაციული კამპანია, რომელიც ამავდროულად, მკვეთრად პრორუსული იყო. სექტემბერში არაერთი კონსპირაციული თეორია გავრცელდა ვაქცინაციისა და პირბადეების საწინააღმდეგოდ. პრორუსული მედია საშუალებები აქტიურად ავრცელებდნენ ერთი მხრივ, ყალბ ინფორმაციას რუსული ვაქცინის ეფექტურობაზე, ხოლო მეორე მხრივ, ქმნიდნენ კონსპირაციულ თეორიებს ბილ გეიტსის, UNICEF-ის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

დეზინფორმაცია, რომ ვირუსი პენტაგონში მმართველი ელიტის მიერაა შექმნილი და განვითარებად ქვეყნებში აშშ-ს ჰეგემონიის განმტკიცებას ემსახურება,¹ პანდემიის დასაწყისშივე გაჩნდა და დღემდე არ კარგავს აქტუალურობას. არ წყდება კონსპირაციული თეორიები არც ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებით. დეზინფორმაციული კამპანია ვაქცინას წარმოადგენდა, როგორც ადამიანის დნმ-ის მოდიფიცირების მიზნით დასავლური ინსტიტუტების მიერ შექმნილ „ბიოიარაღს.“ მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ვაქცინაციასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციულ მედია კამპანიას ხშირ შემთხვევაში, ქსელური ხასიათი აქვს და მიზანმიმართულად ემსახურება დასავლეთის დისკრედიტაციას.

¹ რადიო თავისუფლება, „დეზინფორმაცია კლავს: კორონავირუსი და კრემლის პროპაგანდა“, 27 მარტი 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/AfMcuNA>

1. მეთოდოლოგიური ჩარჩო

მედია მონიტორინგი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას და ონლაინ მონაცემების რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების სინთეზს. ანგარიშში მიმოხილულია 2020 წლის სექტემბერში ონლაინ მედიაში Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებული კონსპირაციული თეორიები, ცრუ ამბები და დეზინფორმაციები. შესაბამისად, მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სხვადასხვა სტატიებსა და ფეისბუქ პოსტებში გამოყენებული ტექსტების ანალიზი. გარდა ამისა, შევისწავლეთ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ფოტო და ვიდეო მასალა; თემატური კატეგორიზაციის გზით გავანალიზეთ კორონავირუსთან დაკავშირებული საინფორმაციო თუ ვიზუალური კონტენტები.

მედია მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა Covid-19-ის პანდემიის ფონზე დეზინფორმაციის გამავრცელებელი ონლაინ მედია საშუალებების მანიპულაციური გზავნილების იდენტიფიცირება და დეზინფორმაციული დისკურსის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა. საკვლევ ობიექტებად ის ონლაინ მედია საშუალებები და ფეისბუქ გვერდები შევარჩიეთ, რომელთა მომხმარებლების ინტერაქცია საკმაოდ მაღალია. დეზინფორმაციული გზავნილების იდენტიფიცირებისა და ყოველმხრივი ანალიზის მიზნით შეირჩა ერთმანეთისაგან განსხვავებული მედია საშუალებები.


საკვლევ ობიექტებად განვსაზღვრეთ როგორც კონსერვატიული, ანტილიბერალური ვებგვერდი [ალტ ინფო](#), ასევე, მკვეთრად პრორუსული მედიასაშუალებები ([საქართველო და მსოფლიო](#), [საქინფორმი](#), [სპუტნიკ საქართველო](#)). ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო ისეთი ქართული ონლაინ გამოცემები, რომელთა მეშვეობითაც ვრცელდებოდა დეზინფორმაციები Covid-19-ზე ([ალია](#), [რეზონანსი](#), [თვალსაზრისი](#), [ჰოთ ნიუსი](#), [abcnews](#), [for.ge](#), [qartuliazri.reportiori.ge](#), [exclusivenews.ge](#), [marshalpress](#), [infopostalion](#) და [News-Front Georgia](#)). ასევე, მედიამონიტორინგის ფარგლებში ვაკვირდებოდით შემდეგ ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებს: [ევრაზია საინფორმაციო სააგენტო](#), [დედაქალაქი](#), [საქართველო უპირველეს ყოვლისა](#), [სტალინი](#), [საქართველოსთვის](#), [საერთო გაზეთი](#), [კორონავირუსი/COVID-19 ერთად დავამარცხოთ](#), [საინფორმაციო ჯგუფი](#), [ეროვნული ყრილობა ძალაუფლება ხალხს](#) და [საერთო სახალხო მოძრაობა ქართველი ერის გადარჩენისთვის](#).

ჯანდაცვისა და ეკონომიკური სისტემების კრიზისის პირობებში, რასაც თან ახლავს სოციალური ქსელების მზარდი მოხმარების ტენდენცია, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს Covid-19-ის პანდემიის ფონზე გავრცელებული ონლაინ ნარატივების, როგორც რაოდენობრივი, ასევე, შინაარსობრივი მახასიათებლებიც. კვლევის ფარგლებში, დეზინფორმაციის პირველწყაროებისა თუ გზავნილების იდენტიფიცირების მიზნით, ფეიბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle გამოვიყენეთ. დეზინფორმაციული კამპანიის ძირითადი რიტორიკის განსაზღვრისთვის მონაცემებს ყოველდღიური დაკვირვების ფორმატში ვაგროვებდით და ვანალიზებდით.


შესწავლილი დეზინფორმაციული ნარატივები, შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: ანტიდასავლური, პრორუსული და აშშ-ს წინააღმდეგ მიმართული დისკურსი.

პოსტებზე ინტერაქციის რაოდენობა

ნარატივი	რაოდენობა სტატუსების და სტატიების	გაზიარების რაოდენობა	კომენტარების რაოდენობა	სხვა ტიპის რეაქციები	ჯამური ინტერაქცია
ანტიდასავლური	287	974	1458	1 075	3507
პრორუსული	102	659	976	975	2610
აშშ-ს წინააღმდეგ მიმართული	148	764	1123	1236	3123



პოსტების ტიპები



პოსტებზე ინტერაქციის პროცენტული მახასიათებლები

შესწავლილ გვერდებზე განთავსებული პოსტების ნახევარზე მეტი - 53% წარმოდგენილი იყო ტექსტური მასალის (სტატუსი, სტატია) სახით, ვიდეო კონტენტი მოიცავდა 9%-ს, ხოლო ფოტოები 34%-ს შეადგენდა. შესწავლილი პოსტების ჯამურმა ინტერაქციამ კი გამოავლინა, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგით ანტილიბერალური შინაარსის მქონე პოსტები გამოირჩეოდა.

2. პრორუსული მედიის დეზინფორმაციული კამპანია

რუსული ვაქცინა და მისი საეჭვო ეფექტურობა

რუსეთის მიერ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნის [დაანონსებას](#) საქართველოში პრორუსული მედიის გააქტიურება და მანიპულაციური კამპანია მოჰყვა. რუსული ვაქცინის ეფექტურობისა და მის მიერ შემოწმების ყველა ეტაპის გავლის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა [მიაწოდა](#). თუმცა, რეალური სურათი განსხვავებულია და რუსული ვაქცინის ეფექტურობისა თუ უსაფრთხოების შესახებ არაერთი ეჭვი არსებობს. სხვადასხვა [კვლევითი ორგანიზაციების განცხადებით](#), რეალურად, რუსულ ვაქცინას არ გაუვლია ტესტირების ყველა ეტაპი. ყველაზე მნიშვნელოვანი, ტესტირების მესამე ფაზის გამოტოვება კი არაეფექტიანობის მაღალ რისკზე მიუთითებს. რუსეთის მიერ ვაქცინის შექმნის ფაქტს გამოეხმაურა აშშ-ს ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი [ენტონი ფაუჩიცი](#) და ეჭვი შეიტანა მის უსაფრთხოებაში. რუსული ვაქცინის წარმოებაში ჩაშვებას სკეპტიკურად შეხვდნენ საქართველოში ლუგარის ცენტრის ხელმძღვანელი [ჰაატა იმნაძე](#) და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი [ამირან გამყრელიძე](#). მათი შეფასებით, არ არსებობს ფართომასშტაბიანი კვლევები, რომლითაც აღნიშნული ვაქცინის ეფექტურობა დადასტურდებოდა.

ამირან გამყრელიძე - რუსულ ვაქცინას ფართომასშტაბიანი, მესამე ფაზის კვლევები არ გაუვლია, ან თუ გაუვლია, შედეგები გამოქვეყნებული არ არის, ამიტომ ცოტა სკეპტიკურად უყურებენ



იმნაძის ხუმრობა რუსულ ვაქცინაზე: მაინტერესებს, როგორ ჩადგამს ბილ გეიტსი თავის ჩიპებს



31 2728 | 12 აგვ 2020 | 11:25



მსოფლიო პრესისგან განსხვავებით, საქართველოში მთელ რიგ პრორუსულ მედია საშუალებებში რუსული ვაქცინა მანიპულაციური კამპანიის ეპიცენტრში აღმოჩნდა. „სპუტნიკ საქართველო“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც დადებითად გამოეხმაურა რუსეთის მიერ ვაქცინაციის ფართომასშტაბიან გამოყენებას. 4 სექტემბერს² მათ ვებგვერდზე გამოქვეყნდა პროპაგანდისტული სტატია „საბოლოო პასუხი:“ The Lancet-ი რუსული ვაქცინის კვლევის შედეგებს აქვეყნებს“, სადაც აღნიშნულია რუსული ვაქცინის ეფექტურობა და მისი შექმნა დაკავშირებულია „უნიკალურ ორვექტორიან ტექნოლოგიებთან“. სტატია ერთი-ერთზე იმეორებს რუსულ პროპაგანდისტულ მესიჯებს და ცდილობს მკითხველის დარწმუნებას

² სპუტნიკ საქართველო, „საბოლოო პასუხი:“ The Lancet-ი რუსული ვაქცინის კვლევის შედეგებს აქვეყნებს“, 4 სექტემბერი 2020. ხელმისაწვდომია : <https://cutt.ly/Fflygif>

ვაქცინის ეფექტურობაში, მიუხედავად იმისა, რომ მას კვლევის ყველაზე მასშტაბური მესამე ეტაპი არ გაუვლია. შესაბამისად, საუბარი მის უსაფრთხოებაზე [მანიპულაციური](#) და პროპაგანდისტულია. სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსული ვაქცინა უკეთ არის დატესტილი, ვიდრე ბრიტანული; სკვპტიკურად არის შეფასებული ამერიკული ვაქცინაც. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანული ფარმაცევტული კომპანიის AstraZeneca-ს ვაქცინა ჯერ ტესტირების ეტაპზეა და დიდი ბრიტანეთის მთავრობას მისი წარმოება არ დაუდგასტურებია. შესაბამისად, საუბარი მის არაეფექტურობაზე მანიპულაციურია.

რუსეთის „უპირატესობის“ ხაზგასმას ემსახურებოდა ასევე „სპუტნიკ საქართველოს“ მიერ 7 სექტემბერს³ გამოქვეყნებული სტატია „საკუთარი ვაქცინა: დასახელდა რუსეთში მოსახლეობის აცრის ვადები“. სტატია სავსეა პროპაგანდისტული, ყალბი ინფორმაციით და ეყრდნობა რუსი მაღალჩინოსნების შეფასებებს. „სპუტნიკის“ სარედაქციო გუნდი წერს, რომ ვაქცინის დახმარებით, კვლევითი ექსპერიმენტის მონაწილეთა 100%-ს ჩამოუყალიბდა მდგრადი ჰუმორალური და უჯრედული იმუნური პასუხი ყოველგვარი უკუჩვენების გარეშე“. რეალურად, მსოფლიოში არ არსებობს კორონავირუსის წინააღმდეგ 100%-ით ეფექტური ვაქცინა, ვინაიდან თითოეული მათგანი ტესტირების ეტაპზეა. ხოლო რუსული წარმოების ვაქცინის ეფექტურობაზე საუბარი კვლევის ყველაზე ფართომასშტაბიანი ეტაპის გამოტოვების ფონზე, შეუძლებელია.



რუსული ვაქცინის ეფექტურობაზე საუბრობს კიდევ ერთი პრორუსული მედია საშუალების „საქინფორმის“ რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი, რომლის მიმართაც - „საქართველომ სასწრაფოდ უნდა სთხოვოს რუსეთს ვაქცინა!“⁴ საქინფორმის ვებგვერდზე 11 სექტემბერს გამოქვეყნდა. სტატია მკვეთრად პრორუსულია, პროპაგანდისტული გზავნილებით. რუსულ „sputnik V“ ვაქცინაზე საუბრისას, საქინფორმის რედაქტორი აღნიშნავს მის ეფექტიანობას და ხაზს უსვამს დასავლეთთან შედარებით რუსეთის უპირატესობას ვაქცინის დამზადების სისწრაფეზე აპელირებით. ის, რომ რუსულ ვაქცინას კვლევის მესამე ეტაპი არც გაუვლია, სტატიაში ნახსენები არ არის. გარდა ამისა, საქინფორმის რედაქტორი ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, თითქოს რუსეთი არის პირველი ქვეყანა, სადაც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა დარეგისტრირდა. სინამდვილეში, ივნისში ჩინურმა [CanSino Biologics-](#)

³ სპუტნიკ საქართველო, „საკუთარი ვაქცინა: დასახელდა რუსეთში მოსახლეობის აცრის ვადები“, 7 სექტემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Wf1yNzW>

⁴ საქინფორმი, „საქართველომ სასწრაფოდ უნდა სთხოვოს რუსეთს ვაქცინა!“, 11 სექტემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/af1KlJO>

მა განაცხადა Covid-19-ის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინის პატენტის რეგისტრაციის შესახებ.⁵ გარდა ამისა, არნო ხიდირბეგიშვილი აქცენტს აკეთებს რუსული ვაქცინის უსაფრთხოებაზე და აცხადებს, რომ ის არ იწვევს გართულებას, რაც ასევე დაუზუსტებელია. მსოფლიოს [წამყვანი კვლევითი ცენტრები](#) ხაზს უსვამენ რუსეთის მიერ ვაქცინის გამოცდის ნორმების უხეშ დარღვევას და გვერდითი მოვლენებისა თუ უკუჩვენების მაღალი რისკის შესახებ საუბრობენ. შესაბამისად, საქინფორმის მიერ გავრცელებული ინფორმაცია რუსული ვაქცინის ეფექტიანობაზე სიმართლეს არ შეესაბამება.

არნო ხიდირბეგიშვილის მიმართვა უცვლელად გააზიარეს ფეისბუქ გვერდზე [სტალინი](#), რომელიც პრორუსული გზავნილებით გამოირჩევა და არაერთხელ არის მხილებული მანიპულაციური მასალის გავრცელებაში.⁶

რუსულ ვაქცინასთან დაკავშირებით დეზინფორმაცია იდენტური გზავნილებით გაავრცელა „საქართველო და მსოფლიოს“ სარედაქციო გუნდმა. რუსული ვაქცინის ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე დეზინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან პირველწყაროს საქართველოს პრორუსულ მედიაში პროპაგანდისტული გზავნილებით ცნობილი „ექსპერტი“ [იაკობ კედმი](#) წარმოადგენდა. სწორედ მისი [ინტერვიუ](#) გამოქვეყნდა „საქართველო და მსოფლიოს“ ვებგვერდზე, სადაც ის დასავლეთის პრეტენზიების „უსაფუძვლობაზე“ საუბრობს და რუსული ვაქცინის „ეფექტიანობას“ უსვამს ხაზს. რეალურად, „ექსპერტის“ ყველა განცხადება მოკლებულია მეცნიერულ არგუმენტაციას და კრემლისტური პროპაგანდის მთავარ გზავნილებს იმეორებს. სწორედ იაკობ კედმის მიერ გავრცელებული ნარატივების იდენტურია საქინფორმის რედაქტორის სექტემბრის გზავნილებიც. გადაუმოწმებელი და ცრუ ამბების გავრცელება იმის ფონზე, რომ რუსულ ვაქცინას კვლევის მესამე ეტაპი გავლილი არ აქვს, რუსული პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია. რუსეთში შექმნილი ვაქცინის შესახებ იაკობ კედმის ინტერვიუ გააზიარეს პრორუსულ ფეისბუქ გვერდებზე [სტალინი](#) და [ევრაზიის საინფორმაციო სააგენტო](#).



რუსეთში შექმნილი ანტიკორონავირუსული ვაქცინის შესახებ

ფაქტები, მხოლოდ ფაქტები და არაკითარი პოლიტიკა

აგვისტო 19, 2020 691



⁵ თუმცა, რუსული ვაქცინის მსგავსად, არც ჩინეთის მიერ რეგისტრირებულ ვაქცინას გაუვლია ტესტირების მესამე ფაზა.

⁶ მითების დეტექტორი, „სტალინი“ უკრაინის ავტოკეფალიის წინააღმდეგ და კრემლის 3 მითი“, 5 სექტემბერი 2019, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/bf1ZcDt>

3. დეზინფორმაციული კამპანიის ანტიდასავლური გზავნილები და კონსპირაციული თეორიები

Covid-19-ის პანდემიის ფონზე მიმდინარე დეზინფორმაციული კამპანიის მთავარი სამიზნეები გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), კომპანია Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეითსი და ოქსფორდის კვლევითი ცენტრი აღმოჩნდნენ. ანტიდასავლური, დეზინფორმაციული კამპანიის ძირითადი მანიპულაციური გზავნილები შემდეგი სახისაა:

- UNICEF საქართველოს, როგორც მეორეხარისხოვან ქვეყანას, ვაქცინის დასატესტად იყენებს
- ბილ გეითსმა ვაქცინა ადამიანის გენის შეცვლის მიზნით შექმნა
- ბილ გეითს აქვს სპეციალური ბიზნეს გეგმა, რომლის მიხედვითაც 7 მილიარდი ადამიანი აუცილებლად უნდა აიცრას
- ბრიტანული და ამერიკული კომპანიების ვაქცინები კორონავირუსის წინააღმდეგ წესების დარღვევითაა შექმნილი და ცხოველებზე დატესტვის ფაზა გამოტოვებულია.

სად ხდება ვაქცინის დატესტვა?

ქართულ მედიაში აღნიშნული დეზინფორმაციის პირველწყაროა ჰომეოპათი და აკადემიკოსი თინა თოფურია. მისი ინტერვიუ 18 სექტემბერს გამოქვეყნდა ფეისბუქ გვერდზე [საერთო გაზეთი](#). ვაქცინაციაზე საუბრისას აკადემიკოსი ხაზს უსვამს ბილ გეითსის, გაეროს ბავშვთა ფონდის, ოქსფორდის კვლევითი ცენტრისა და ვაქცინათა ალიანსის ბიზნეს ინტერესებს და ყალბ გზავნილებს ავრცელებს. ინტერვიუში ის ახსენებს, რომ ამერიკული და ბრიტანული კომპანიები საქართველოს, როგორც მეორეხარისხოვან სახელმწიფოს, იყენებენ სახიფათო ვაქცინის დასატესტად. სინამდვილეში კი ვაქცინაციის პროცესი მოხალისეობრივ საწყისებზეა დაფუძნებული და შექმნილია სპეციალური ონლაინ პლატფორმა [1daysooner.org](#), სადაც ვაქცინის დატესტვის მსურველები მთელი მსოფლიოს მასშტაბით რეგისტრირდებიან. გარდა ამისა, **ვაქცინის ტესტირება მოხალისეობრივ საწყისებზე აქტიურად მიმდინარეობს ისეთ განვითარებულ სახელმწიფოებში, როგორებიცაა [აშშ](#) და [დიდი ბრიტანეთი](#).** დეზინფორმაციული ხასიათის იყო ასევე გზავნილი ბრიტანულ-ამერიკული კომპანიების მიერ ვაქცინის წესების დარღვევით შექმნის თაობაზე და მათი მხრიდან ცხოველების დატესტვის ფაზის გამოტოვებაზე. რეალურად ვაქცინის წარმოება გადის კვლევის რამდენიმე ფაზას, რომლის საბაზისო წინარე საფეხურს [ცხოველებზე ტესტირების ჩატარება](#) წარმოადგენს. სწორედ ცხოველების მიერ იმუნიტეტის გამომუშავებაზეა დამოკიდებული, კვლევის შემდგომ ეტაპზე მოხდება თუ არა ვაქცინის ტესტირება ადამიანზე, უსაფრთხოების მიზნით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში [ოქსფორდის უნივერსიტეტის](#) მიერ ვაქცინის ადამიანებზე დატესტვას წინ უძღოდა კვლევის ფაზა მაიმუნების ჯგუფზე.

ბილ გეიტსი და ყალბი ინფორმაცია „7 მილიარდი ადამიანის იძულებითი აცრის“ შესახებ

დეზინფორმაციული ხასიათის გზავნილია აგრეთვე ბილ გეიტსის დადანიშნულება სპეციალური ვაქცინის ფლობაში, რომლითაც იგი ადამიანის გენის ცვლილებას გეგმავს. რეალურად, კორონავირუსის წინააღმდეგ შექმნილ ვაქცინებს არ შეუძლიათ ადამიანის დნმ-ის შეცვლა. შეთქმულების თეორიის ნაწილია ასევე მტკიცება ბილ გეიტსის მიერ 7 მილიარდი ადამიანის იძულებით აცრასთან დაკავშირებით. მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, საუბარია ურთიერთთანამშრომლობის გზით ვაქცინის ხელმისაწვდომობაზე 7 მილიარდი ადამიანისთვის.

დეზინფორმაცია UNICEF-ის წინააღმდეგ

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ანტიდასავლური დეზინფორმაცია, რომელსაც რესპონდენტი ავრცელებს, უკავშირდება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოში ბავშვებზე ვაქცინის იძულებით ტესტირებას. UNICEF არ არის ჩართული ტესტირების პროცესში და მხოლოდ ვაქცინის ოფიციალურად რეგისტრაციის შემდეგ უხელმძღვანელებს კორონავირუსის ვაქცინების შესყიდვისა და მიწოდების პროცესს. UNICEF-ის განცხადების თანახმად, „ვაქცინის უზრუნველყოფისაკენ მიმართულ . . . ძალისხმევაში, გაეროს ბავშვთა ფონდი იყენებს ვაქცინით მომარაგების უნიკალურ შესაძლებლობას, რათა უზრუნველყოს ყველა ქვეყნისათვის უსაფრთხო, სწრაფი და თანაბარი წვდომა ვაქცინის დოზების პირველ პარტიაზე, როდესაც ისინი გახდება ხელმისაწვდომი.“

გაეროს ბავშვთა ფონდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „ქართული იდეის“ ლიდერის ლევან ჩაჩუას სამიზნეც აღმოჩნდა. პირად ფეისბუქ გვერდზე 13 სექტემბერს გამოქვეყნებულ პოსტში ჩაჩუა აღნიშნავს, რომ UNICEF საქართველოში ბავშვთა სავალდებულო აცრის მიზეზით კოვიდ-19-ის ვაქცინის ლოჯისტიკურ საკითხებს მართავს და შესყიდვების პროცესშიც აქტიურად არის ჩართული. იდენტური შინაარსის მქონე პოსტები გამოქვეყნდა შემდეგ ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებში: სტალინი, საქართველო უპირველეს ყოვლისა და ქართული იდეა მათ მიერ გაზიარებული ლევან ჩაჩუას პოსტი ეფუძნება სიცრუეს⁷, ვინაიდან საჯაროდ ხელმისაწვდომ დეკლემენტში (COVAX Facility) აღნიშნულია, რომ UNICEF ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ვაქცინის თანასწორად გადანაწილების პროცესს, რათა ვაქცინის წარმოების შემდეგ ყველა ქვეყანამ შეძლოს მისი შესყიდვა. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია საქართველოც.


იდენტური ცრუ გზავნილების შემცველია ასევე „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ 15 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატია⁸ „გაეროს ბავშვთა ფონდი განვითარებად ქვეყნებში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო საცდელი ვაქცინის გავრცელებას იწყებს“. სტატიაში UNICEF მოხსენიებულია „საექვო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციად“. სტატიის რესპონდენტის მამა გიორგი რაზმაძის მიერ იაფფასიან ბლეფად არის შეფასებული გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ვაქცინით უზრუნველყოფის გზით განვითარებადი ქვეყნების დახმარება. ამ შემთხვევაშიც

⁷ მითების დეტექტორი, „აიძულებს თუ არა UNICEF საქართველოს ვაქცინაციას?“, 15 სექტემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/RgrjX5s>

⁸ ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/bf0jlf>

ადგილი აქვს ფაქტების დამახინჯებას. [მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია](#) საჯაროდ განმარტავს, რომ მათი საქმიანობა COVAX პროგრამის ფარგლებში არის არა ქველმოქმედება, არამედ პანდემიის კონტროლი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარმა ინტერვიუში ასევე გააჟღერა, რომ საქართველო საცდელი პოლიგონია დასავლეთისთვის და უმჯობესია საქართველომ ვაქცინა რუსეთისგან შეიძინოს. აღნიშნული სტატია გაზიარდა ფეისბუქ გვერდებზე: [სტალინი](#) და [ევრაზიის საინფორმაციო სააგენტო](#). სინამდვილეს არ შეესაბამება მტკიცება, თითქოს დასავლეთი ვაქცინას განვითარებად ქვეყნებში ტესტავს. დღევანდელი მონაცემებით, ვაქცინის დატესტვის პროცესში მსოფლიოს [166](#) ქვეყნიდან არიან მოხალისეები ჩართული.

საერთო ჯამში Crowdtangle-ის მონაცემებით დეზინფორმაცია UNICEF-ის წინააღმდეგ 82-ჯერ დაიპოსტა 10 ფეისბუქ ჯგუფსა და ორ ვებპორტალზე [საქართველო და მსოფლიო](#), და [ქართული იდეა](#). დეზინფორმაციული პოსტები 524-ჯერ გაზიარდა და 564 მომხმარებლის მოწონება დაიმსახურა.




იტალიელი გინეკოლოგის რობერტო პეტრელას დეზინფორმაციული ვიდეო მიმართვა

სექტემბერში ფეისბუქის სხვადასხვა ჯგუფებსა და გვერდებზე ვირუსულად გავრცელდა იტალიელი გინეკოლოგის რობერტო პეტრელას⁹ დეზინფორმაციული [ვიდეო მიმართვა](#). მისი განცხადებით, კორონავირუსი წარმოადგენს მსოფლიო მოსახლეობის კონტროლის მიზნით შექმნილ ბიოლოგიურ იარაღს და ხელოვნურად ხდება მისი გავრცელება. აღნიშნული გზავნილი კონსპირაციული თეორიის ნაწილია და [სინამდვილეს არ შეესაბამება](#). სამედიცინო ჟურნალში [ლანცეტი](#) გამოქვეყნებულია მეცნიერთა საჯარო განცხადება, სადაც ახსნილია, რომ ვირუსი არა ხელოვნური გზით, არამედ ბუნებრივად არის გაჩენილი. ასევე დეზინფორმაციული ხასიათისაა¹⁰ მისი მტკიცებაც, რომ ვაქცინა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია. პირიქით, [ვაქცინები ხელს უწყობს იმუნური სისტემის განმტკიცებას და ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლას](#). დეზინფორმაცია ასევე რობერტო პეტრელას განცხადება ტესტირებასთან დაკავშირებით. ვიდეო მიმართვაში ის აღნიშნავს, რომ

⁹ იტალიის სამედიცინო ასოციაციიდან გაირიცხა 2019 წელს დეზინფორმაციის გავრცელების გამო.
¹⁰ Factcheck.ge, „იტალიელი გინეკოლოგის მორიგი დეზინფორმაცია“, 22 სექტემბერი 2020, ხელმისაწვდომია : <https://cutt.ly/pgrkEKE>

Covid-19-ის ტესტები არაეფექტურია და ორგანიზმში ვირუსის აღმოჩენის უნარი არ შესწევს. რეალურად კი [PCR ტესტები](#), რომლებიც COVID – 19-ის დიაგნოზირების მიზნით გამოიყენება, თითქმის 100%-იანი სიზუსტით ადგენს ინფიცირებას. **ზოგადად, მედიცინაში სწორედ PCR მეთოდით არის უზრუნველყოფილი ინფექციების მაღალი სიზუსტით დიაგნოსტიკა.** ყალბი ამბის შემცველი რობერტო პეტრელას ვიდეო მიმართვა ვირუსულად გავრცელდა სხვადასხვა ფეისბუქ ჯგუფებში (საერთო სახალხო მოძრაობა ქართველი ერის გადარჩენისთვის!, კორონა მაფია, საქართველო უპირველეს ყოვლისა, მოქალაქე, internet news, ანტი მასონობა) და მაღალი ონლაინ ინტერაქციაც მოჰყვა ინტერნეტ მომხმარებლების მხრიდან. ჯამში Crowdtangle-ის მონაცემებით, ონლაინ ინტერაქციამ აღნიშნულ ვიდეო მიმართვაზე 14 ფეისბუქ გვერდზე 419 მომხმარებელი მოიცვა.



კონსპირაციები პირბადეებთან დაკავშირებით

სექტემბერში კონსპირაციული თეორია პირბადეების საწინააღმდეგოდ გავრცელდა. ვებგვერდმა tvalsazrиси.ge 23 სექტემბერს¹¹ გამოაქვეყნა ინტეგრალური მედიცინის სპეციალისტ პროფესორ ზურაბ ქუმსიაშვილთან ინტერვიუ „პირბადე – სენის პრევენცია თუ საზოგადოების დამონების მექანიზმი?“. რესპონდენტი პირბადეების გამოყენებას განიხილავს, როგორც ჯანმრთელობისთვის საზიანოს და აღნიშნავს, რომ უსიმპტომო პირებისთვის მისი ტარება ფსიქოლოგიური ზიანის მომტანია. [კონსპირაციულია](#) სტატიის სათაური, რომლის თანახმადაც, პირბადე წარმოადგენს მასების დამორჩილების ინსტრუმენტს. რეალურად პირბადის გამოყენებას ინფექციებთან ბრძოლის წინააღმდეგ [დიდი ისტორია](#) აქვს. დეზინფორმაციული გზავნილია პირბადეების გამოყენება მხოლოდ სიმპტომიანი ადამიანების მიერ. [მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია](#) პანდემიასთან ბრძოლის მთავარ ინსტრუმენტად სწორედ პირბადეს მიიჩნევს, რომელიც ჯანმრთელ ადამიანს ვირუსის გადადებისგან იცავს და ამავე დროს, ამცირებს დაავადებულისგან ინფიცირების რისკებს.

პირბადის შესახებ იდენტური კონსპირაციული თეორიები გავრცელდა 23 სექტემბერს კრემლისტური მედიასაშუალებების [News Front](#)-ის მიერ. ინტერვიუში საინიციატივო ჯგუფის „საზოგადოება და სახელმწიფოს“ თანადამფუძნებელი შორენა შანიძე აღნიშნავს, რომ პირბადის ტარება სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის და იწვევს სასუნთქი გზების სხვადასხვა ტიპის პრობლემას. რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ პირბადე იწვევს ნახშირორჟანგით ინტოქსიკაციას. აღნიშნული მტკიცებები არ შეესაბამება რეალობას და

¹¹ თვალსაზრისი, „პირბადე – სენის პრევენცია თუ საზოგადოების დამონების მექანიზმი?“, 23 სექტემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/af2kfv9>

წარმოადგენს [დეზინფორმაციას](#). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, პირბადეების დამზადება უნდა მოხდეს ისეთი ბუნებრივი მასალისგან, რომელიც არ დააზიანებს სასუნთქ სისტემას. ხსენებული რეკომენდაციების დაცვის შემთხვევაში, ორგანიზმში ნახშირორჟანგის დაგროვება შეუძლებელი იქნება. ამ თემასთან დაკავშირებით კონსპირაციულ თეორიას გამოეხმაურა თავად [მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია](#) და აღნიშნა, რომ სამედიცინო ნიღბების ტარება არ იწვევს CO₂ ინტოქსიკაციას და არც ჟანგბადის უკმარისობას. News ფრონტის მიერ გამოქვეყნებული ინტერვიუ, რომლის პირველ წყაროდ მითითებულია გაზეთი ალია, დისკუსიის საგანი გახდა ონლაინ სივრცეში. ის გააზიარეს ფეისბუქ გვერდებმა [სტალინი](#) და [ევრაზია-საინფორმაციო სააგენტო](#).



ვირუსი – ხანის კრემინო თუ საზოგადოების დამონების მეთაური?

